ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3397603

ნომერი: AR1520690

თარიღი : 06.07.2017

გაცემის თარიღი : 14.07.2017

გაცნობის თარიღი : 14.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 01/082) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაკაშვილი პ/ნ 01034003560
- თბილისი ო.ჩეჩელაშვილის ქ. N 157

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ AR1520690 ელექტრონულად ატვირთული განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტი, (ნაკვეთი 01/082)-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკად. კოდი:№01.19.30.001.082) საზღვრებში სერვიტუტის გაუქმებას; პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურმა ერთხელ უკვე იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (AR1506052) და №3297912 გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია ნაკვეთზე სერვიტუტის გაუქმება, ვინაიდან შეიზღუდება მისასვლელი გზა ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთამდე (საკად. კოდი:№01.19.30.001.083). განმეორებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი სახით აღნიშნული მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.